სარჩელი

(ადმინისტრაციულ საქმეზე)

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

სასამართლოს დასახელება, სადაც შეაქვთ სარჩელი

მოსარჩელე :

1

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა			ქ. თბილისი, 0162, ყიფშიძის ქ. №5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული	
სახელი, გვარი (სახელწოდება)			ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)	
	221 604			greenalt@greenalt.org
ალტერნატიული მისამართი	ტელ: სამსახურის	ტელ: სახლის	მობილური	ელექტრონული ფოსტის მისამართი
			223 874	11.00 – 19.00
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი			ფაქსი	უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

მოსარჩელის წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) :

1

ნინო გუჯარაიძე			ქ. თბილისი, 0162, ყიფშიძის ქ. №5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული	
სახელი, გვარი (სახელწოდება)			ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)	
	221 604		899 902 520	ngujaraidze@greenalt.org
ალტერნატიული მისამართი	ტელ: სამსახურის	ტელ: სახლის	მობილური	ელექტრონული ფოსტის მისამართი
ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, ქ. თბილისი, 0162, ყიფშიძის ქ. №5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული			223 874	11.00 – 19.00
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი			ფაქსი	უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

2

თამარ კორძაია			ქ. თბილისი, კრილოვის ქ. №15 ს.ი. 0102	
სახელი, გვარი (სახელწოდება)			ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)	
	936 101 / 952 353			tkordzaia@gyla.ge
ალტერნატიული მისამართი	ტელ: სამსახურის	ტელ: სახლის	მობილური	ელექტრონული ფოსტის მისამართი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქ. თბილისი, კრილოვის ქ. №15 ს.ი. 0102			923 211	10.00 – 18.00
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი			ფაქსი	უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

მოპასუხე :

1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო			0108, ქ, თბილისი, ჭანტურიას ქ. №12	
სახელი, გვარი (სახელწოდება)			ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)	
	991 011			ministry@economy.ge
ალტერნატიული მისამართი	ტელ: სამსახურის	ტელ: სახლის	მობილური	ელექტრონული ფოსტის მისამართი
			921 845	10.00 – 18.00
სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი			ფაქსი	უწყების ჩასაბარებლად დღე-ღამის ოპტიმალური დრო

საკონტაქტო პირის მონაცემები :

სახელი, გვარი (სახელწოდება)	ტელ: სამსახურის	ტელ: სახლის	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტის მისამართი

შენიშვნა: ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსი მიეთითება მათი არსებობის შემთხვევაში, თუმცა, ***სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ყველა რეკვიზიტის შევსება.***

სარჩელში ***საკონტაქტო პირის მონაცემების მითითება*** სავალდებულო არ არის, თუმცა იგი ***დაეხმარება სასამართლოს თქვენთან დაკავშირებასა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაში.***

მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ***სარჩელში მიუთითოს ზუსტი მონაცემები.***

სარჩელი და თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენი მოპასუხეცაა საქმეში.

თუ მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აყვანილი ჰყავს წარმომადგენელი, სარჩელში მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოპასუხის, ასევე წარმომადგენლის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს, სარჩელში მან უნდა მიუთითოს როგორც საკუთარი და მოპასუხის, ასევე მარწმუნებლის მონაცემები. ასეთ შემთხვევებში სარჩელს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სასამართლოში შეიძლება დაიბარონ მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.

1 _____ სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

_____ _____

სახელი, გვარი (სახელწოდება) ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

_____ _____ _____ _____ _____

ალტერნატიული მისამართი ტელ: სამსახურის ტელ: სახლის მობილური ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____ _____ _____

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის ფაქტობრივი მისამართი ფაქსი უწყების ჩასაბარებლად

დღე-ღამის ოპტიმალური დრო

შენიშვნა: თუ გსურთ მოწმის სახით სასამართლომ გამოიძახოს ესა თუ ის პირი, გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თქვენ ვალდებული ხართ, შუამდგომლობების გრაფაში მიუთითოთ ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას. ***მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მონაცემები.***

დავის საგანი

სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს:
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;
ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;
ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;
აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა;
სხვა საქმეები, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საჯარო ინფორმაციის განსაიდუმლოება და ქმედების განხორციელება

იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი

აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.
აღიარებითი სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია მანამ, ვიდრე წამოჭრილი დავის გამო მოსარჩელის უფლება დაირღვეოდეს. აღიარებითი სარჩელის აღძვრისას მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმის შესახებ, თუ რა კანონიერი ინტერესი აქვს დავის საგანთანთან მიმართებაში და აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს თავისი უფლების დაცვას.

აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი:
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით;
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით;
ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

ამ გრაფაში მოსარჩელემ ***მოკლედ უნდა გადმოსცეს სარჩელის არსი და ზოგადად ისაუბროს იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვის აუცილებლობა და რა უფლება იქნა დარღვეული.*** აღნიშნული გრაფის შევსება ***მიზნად ისახავს სასამართლოსათვის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას,*** რამაც ხელი უნდა შეუწყოს დავის არსის აღქმასა და მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 14 მაისს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება №325 "საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გასაფორმებელი შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყლის" 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ", რომლის თანახმად მოწონებულ იქნა, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობას და, მეორეს მხრივ, შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გასაფორმებელი შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყლის" 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ეკატერინე შარაშიძეს მიენიჭა უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოეწერა აღნიშნული ხელშეკრულებისათვის. საქართველოს მთავრობის №325 განკარგულების გამოცემის დღესვე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

2008 წლის 28 მაისს ჩვენ მივმართეთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს ბატონ კახა ბენდუქიძეს და ვთხოვეთ, მოეწოდებინა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მოწმონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის N 325 განკარგულებით (გთხოვთ, იხილოთ დანართი 1.). აღნიშნული წერილის პასუხად, მივიღეთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, ბატონ დავით კერესელიძის 2008 წლის 30 მაისის №24/111 წერილი (გთხოვთ, იხილოთ დანართი 2.), რომლითაც გვეცნობა, რომ ჩვენი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვითხოვდით სწორედ საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული დოკუმენტის ასლს, ყოვლად გაურკვეველია, რატომ არ აღმოჩნდა ეს დოკუმენტი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში და რატომ გადაეგზავნა ჩვენი წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ რეაგირებისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

მოგვიანებით, 2008 წლის 19 ივნისს, ჩვენ მივიღეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი (გთხოვთ, იხილოთ დანართი 3.), რომლითაც იგი უკვე ხელმოწერილი „ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1. მუხლის შესაბამისად", ქ. თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" სთხოვდა მათ მოსაზრებებს შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემის თაობაზე.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თვითნებურად შეცვალა ჩვენი მოთხოვნა. კერძოდ, ჩვენ ვითხოვდით, ხელშეკრულების პროექტს, რომელიც, სავარაუდოდ, არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას, ხოლო სამინისტრო მხარეებს სთხოვდა თანხმობას უკვე გასაიდუმლოებული დოკუმეტის ასლი გაცემაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, შემდგომში, ჩვენ არც ხელშეკრულების ასლი მიგვიღია ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან და არც რაიმე განმარტება.

2008 წლის 22 ივლისს ჩვენ მივმართეთ ეკონომიკური განვითრების მინისტრს (გთხოვთ, იხილოთ დანართი 4.), რომლითაც ვაცნობეთ მას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მოადგილის ზემოხსენებული წერილის მიღებიდან უკვე თვეზე მეტი იყო გასული, ჩვენ ცნობა არცერთი უწყებიდან მიგვიღია და ვთხოვეთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, მოეწოდებინათ ხელშეკრულების დოკუმენტის ის ნაწილები, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას. აღნიშნულ წერილზე მწვანე ალტერნატივას პასუხი არ მიუღია.

2008 წლის 25 ნოემბერს ჩვენ კვლავ მივმართეთ საქართველოს კანცელარიის უფროსს (გთხოვთ, იხილოთ დანართი 5.), ვაცნობეთ ყოველივე ზემოაღნიშნულის თაობაზე და ვთხოვეთ, მოეწოდებინა შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებილი ხელშეკრულების ასლი. იმ შემთხვევაში, თუკი დოკუმენტი შეიცავს საიდუმლოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, ვთხოვეთ, მოეწოდებინათ დოკუმენტის ის ნაწილები, რომელიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას; ასევე ვთხოვდით, მითითებას ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველზე; ნორმატიულ აქტებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა ინფორმაციის გასაიდუმლოება და გასაიდუმლოების ვადაზე.

2008 წლის 25 ნოემბერის წერილზე პასუხად, მიღეთ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის პირველი მოადგილის, ბატონ დავით კერესელიძის 2008 წლის 1 დეკემბრის №24/111 წერილი (გთხოვთ, იხილოთ დანართი 6.), რომლითაც გვეცნობა, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (ანუ, საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერილი დოკუმენტი) საქართველოს მთავრობის კანცელარიაში არ მოიპოვება და ჩვენი წერილი შემდგომი რეაგირებისათვის კვლავ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაიგზავნა.

2008 წლის 24 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან დაგვიკავშირდნენ ტელეფონით და გვაცნობეს, რომ ხელშეკრულების ასლი გამზადებული იყო და იმის გამო, რომ დოკუმენტი სქელტანიანია, უმჯობესი იქნებოდა, თუ მას თავად წავიღებდით. მიხედავად, აღნიშნულისა, მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ წერილი მზად არ არის, რადგან მინისტრის მოადგილე, რომელსაც ხელი უნდა მოეწერა წერილზე ჯერ არ იყო ოფიციალურად დანიშნული. საახალწლო დღესასწაულების შემდეგ, რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ უშედეგოდ ვცდილობდით მოგვეძიებინა კომპენტური პირი, რომელიც პასუხს გაგვცემდა თუ რა ბედი ეწია ჩვენთვის გამზადებულ წერილს. 16 იანვარს მიღებულმა პასუხმა (კვლავ ტელეფონის მეშვეობით) ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - როგორც, ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან გვაცნობეს, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მთელი ტექსტი გასაიდუმლოებულია და ამჟამად მიმდინარეს მოლაპარაკება "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედთან", რათა მან თანხმობა მისცეს სამინისტროს მწვანე ალტერნატივასათვის ხელშეკრულების ასლის მიწოდებაზე; ამასთან, კომპანიას გადაწყვეტილების მიღებისათვის ესჭიროება დეტალური ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას საქმიანობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაურკვეველია რის საფუძველზე გვაწოდებდა სამინისტრო ხელშეკრულების ასლს 2008 წლის დეკემბერში, თუკი კომპანიისაგან თანხმობა ამის შესახებ არ ჰქონდა; ან თუკი კომპანიის თანხმობა არ იყო საჭირო დეკემბერში, რატომ გაჩნდა ამის აუცილებლობა იანვარში. აღსანიშნავია, რომ პასუხი ჩვენს მოთხოვნაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან ჩვენ დღემდე არ მიგვიღია.

საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებელი შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყლის" 100% წილების ნასყიდობის

ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია: 1. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ და 2. გარემოსდაცვითი ინფორმაცია; ასევე, ხელშეკრულების ტექსტის გასაიდუმლოებისას არ ყოფილა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ა.წ. 16 მარტს ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა (გთხოვთ, იხილოთ დანართი 7.) საქართველოს პრემიერ-მინიტრს ნიკა გილაურს და მოითხოვა შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის" გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერების საკითხის შესწავლა და ხელშეკრულების დოკუმენტის საჯაროობის უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად მივიღეთ მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ა.წ. 24 მარტის წერილი №24/72 (გთხოვთ, იხილოთ დანართი 8.), რომელშიც აღნიშნული იყო: "გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად არსებობს საჩივრის განხილვაზე უარის თქმის დაფუძველი, ვინაიდან ამავე კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრედეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორცილების ან განხორცილებისაგან თავის შეკავების შესახებ. როგორც თქვენი ადმინისტრაციული საჩივრიდან ირკვევა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრისათვის აღნიშნულ საკითხზე მიგიმართავთ ჯერ კიდევ 2008 წლის 22 ივლისს, რაზედაც პასუხი არ მიგიღიათ. ხოლო იგივე მოთხოვნასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაგზავნილ თქვენს №04/03-121 წერილთან დაკავშირებით პასუხი თქვენთვის ცნობილი იყო 2009 წლის 16 იანვარს". 2009 წლის 31 მარტის №04/03-128 წერილით (გთხოვთ, იხილოთ დანართი 9.) მწვანე ალტერნატივამ წარადგინა თავისი მოსაზრებები ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობასთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციას არამართებულად მიაჩნდა საჩივრის განხილვაზე უარი თქმის საფუძვლად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის გამოყენება, რადგან პრემიერ-მინისტრისათვის გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივრით ჩვენი ვასაჩივრებთ შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მთელი ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას. აღნიშნულის უფლებას კი, ჩვენ გვაძლევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მეოთე ნაწილი, რომლის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

2009 წლის 2 აპრილს მწვანე ალტერნატივამ მიიღო მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის წერილი №24/72 (გთხოვთ, იხილოთ დანართი 10.), რომლითაც ორგანიზაციას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე. წერილში ნათვამია: "თქვენი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, ვინაიდან ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლით) არ არის თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. საჩივარში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების 14.1 მუხლით განსაზღვრულია დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი, თუმცა მიგვაჩნია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის უფლებამოსილ დაწესებულებას წარმოადგენს

სასამართლო“.

საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების დოკუმენტის გასაიდუმლოებით უხეშად ილახება ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილით, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის“ (ორჰუსის) კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 33-ე, 37-ე, 38-ე და 42-ე მუხლის “ა“ და „ნ“ პუნქტებით.

კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს

მოსარჩელე ვალდებულია *დაასაბუთოს* თავისი სარჩელი და *წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.*

წინამდებარე გრაფა წარმოადგენს **«დავის არსის»** ერთგვარ რეზიუმირებას, სადაც მოსარჩელე პუნქტობრივად მიუთითებს იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც მას მიაჩნია მნიშვნელოვნად მისი მოთხოვნის დასასაბუთებლად და მიზნად ისახავს სასამართლოს ყურადღება მიაპყროს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გახდეს სასამართლო მსჯელობის საგანი და რომელთა დადასტურების შემთხვევაში მისი მოთხოვნა დასაბუთებულად ჩაითვლება.

გარემოებები უნდა მიეთითოს სათითაოდ, პუნქტების მიხედვით და დაინომროს არაბული ციფრებით. გარემოებები უნდა ჩამოყალიბდეს მოკლედ და მკაფიოდ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალ-ცალკე მითითება შეუძლებელია ან გაართულებს რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღქმას და მოვლენის არსის წვდომას შესაძლებელია, ერთ პუნქტად რამდენიმე გარემოების ერთდროულად მითითება.

თითოეული გარემოების აღწერის დასრულების შემდეგ, მოსარჩელემ იქვე უნდა მიუთითოს იმ მტკიცებულებზე, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ ეს ფაქტობრივი გარემოება.

თითოეული გარემოება უნდა ამართლებდეს მოსარჩელის მოთხოვნას და ადასტურებდეს მისი უფლებების დარღვევის ფაქტს. ეს გარემოებები ერთობლიობაში შეადგენენ მტკიცების საგანს.

მოსარჩელემ თვითონ უნდა განსაზღვროს რომელი ფაქტები დაუდოს საფუძვლად თავის მოთხოვნას.

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, *ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს,* რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

მოსარჩელემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ:

არ მიუთითოს ისეთ გარემოებებსა და ფაქტებზე, რომელთაც პირდაპირი შეხება არა აქვთ დავის საგანთან და არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დავის გადაწყვეტაზე;

იგი ვალდებულია სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. იმ შემთხვევაში, თუ მას საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულების წარდგენა, იგი ვალდებულია, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოების ჩამოყალიბების შემდეგ მიუთითოს იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატება საპატიო მიზეზი.

მას უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით მტკიცებულებათა გამოთხოვის მოთხოვნით, ვისთანაც უნდა იყოს ისინი ან მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, როდესაც გაასაიდუმლოვა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულება; ეს დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1. ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

1.1. ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების პრივატიზება განხორციელდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და შესაბამისი პირობები დაადგინა საქართველოს პრეზიდენტმა „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით.

აღნიშნული განკარგულების თანახმად, შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილები მყიდველს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ასე მაგალითად:

- წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ

რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი;

- გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
- გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წელიწადში;
- წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ძველი საზღვრების ფარგლებში (26.12.06 წლის მდგომარეობით) 2011 წლიდან და შემდეგ იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ახალი საზღვრების ფარგლებში 2015 წლიდან და შემდეგ იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2015 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- აღმოიფხვრას მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინება ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არა უგვიანეს 2012 წლისა.

ასევე, „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მე-5 მუხლით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინვესტორის დახმარებით შეიმუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეს ვალდებულება, ასევე მყიდველის ზემოაღნიშნული ვალდებულებები ქონების შემდგომი გამოყენების თაობაზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის N 1–1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად (თუკი სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია პირობები, ისინი შეტანილ უნდა იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში), წარმოდგენილია საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს“ შორის გაფორმებელი შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყლის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების დოკუმენტში.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით დადგენილი ზემოაღნიშნული პირობები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას და იმავე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის; აგრეთვე, ეს არის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ რომლებიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის ა) პუნქტის თანახმად, დაუშვებელია.

<u>1.2. ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ.</u>

როგორც ავღნიშნეთ, შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის წესით. შესაბამისად, გარიგების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის N 1–1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის

თანახმად, უნდა შეიცავდეს ცნობებს გამყიდველის შესახებ და ინფორმაციას მხარეთა ურთიერთვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ. შესაბამისად, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების გასხვისების შედეგად დადებული ხელშეკრულება უცილობლად შეიცავს ცნობებს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ.თბილისის მთავრობის შესახებ და მათი, როგორც ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება ასევე შეიცავს ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ. კერძოდ, მის ვალდებულებას „თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინვესტორის დახმარებით შეიმუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა".

2. ხელშეკრულების გასაიდუმლოებისას არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი.

2.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). სავარაუდოდ, საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის აღნიშნული წესი არ ყოფილა დაცული. რადგან ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ არ მოგვაწოდა ნორმატიული აქტის ასლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა; ხოლო, ზეპირსიტყვიერად განმარტა, რომ გადაწყვეტილება ასახულია თავად ხელშეკრულების ტექსტში „14.1. მუხლის" სახით; იგივეზე მიანიშნებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის 2008 წლის 16 მაისის წერილი №21/875/1-8 წერილი, სადაც რომლითაც იგი „ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1. მუხლის შესაბამისად", ქ. თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" სთხოვდა მათ მოსაზრებებს შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემის თაობაზე.

გარდა, იმისა, რომ თავად ხელშეკრულების მუხლით დოკუმენტის გასაიდუმლოება ეწინააღმდგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს, თუკი ასეთი მუხლი მართლაც არის ხელშეკრულებაში, არ არსებობდა თუნდაც ამ კონკრეტული მუხლის (როგორც მთლიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის) კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საფუძველი.

2.2. საქართველოს ზოგადი ადმანისტრაციული კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით, "გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს." ამ პრივატიზაციის ხელშეკრულებასთან მიმართებაში კი კანონი არათუ არ აწესებდა მის გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, არამედ პირიქით, პირდაპირ ადგენდა, რომ ეს ხელშეკრულება საჯარო უნდა ყოფილიყო. კერძოდ, და საქართველოს გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლის "ვ" პუნქტისა და ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, უზრუნველეყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას (მათ შორის ხელშეკრულების ტექსტის შემუშავებისას) და მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია, რადგან შპს "რუსთავწყალკანალის", შპს

“მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის” გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება და თვით პრივატიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

მოსარჩელის მოთხოვნა

ამ გრაფაში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა მიეთითოს, თუ კონკრეტულად რას ითხოვს მოსარჩელე.

სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. ***პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.***

სარჩელი შეიძლება აღიძრას: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით; ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

მოთხოვნის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის ხარვეზს.

რამდენიმე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში თითოეული მოთხოვნა უნდა მიეთითოს ცალ-ცალკე ***პუნქტების მიხედვით და დაინომროს არაბული ციფრებით.***

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, გამოითხოვოთ შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება და განიხილოთ გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27^2 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილის, 28-ე, 33-ე, 42-ე მუხლის ,,ა” პუნქტის და 47-ე მუხლის 1 ნაწილის ,,ა” და „დ“ პუნქტების, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, დაავალოთ მოპასუხეს მოახდინოს შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებილი ხელშეკრულების განსაიდუმლოება;

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე, გთხოვთ, დაავალოთ მოპასუხეს მოგვცეს საჯარო ინფორმაცია, კერძოდ: შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს”-ისათვის მიყიდვის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლი.

სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას

ამ გრაფაში *მოსარჩელემ ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა ჩამოაყალიბოს ის სამართლებრივი არგუმენტაცია,* შესაბამისი კანონის შესაბამის ნორმაზე მითითებით, *რომელიც იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. ნორმის მითითებისას უნდა აღინიშნოს კანონის შესაბამისი მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვეპუნქტი.*

მოთხოვნის *სამართლებრივი საფუძვლების მითითება* სავალდებულო არ არის, თუმცა იგი *დაეხმარება სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებაში.*

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 10, პუნქტი 1.**

შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, შესაბამისად, მისი გასაიდუმლოებით ირღვევა ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა უფლება გავეცნოთ ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას და მივიღოთ მისი ასლი.

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27², პუნქტი 1., პუნქტი 2. და პუნქტი 3.**

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ გვაწვდის შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლს იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების 14.1. მუხლის შესაბამისად დოკუმენტი თითქოსდა წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

<u>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 27², პუნქტი 1.</u>-ის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის - ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში წარმოდეგენილი იყოს მსგავსი ღირებულების მქონე ინფორმაცია და მითუმეტეს ხელშეკრულების მთელი ტექსტი იყოს კომერციული ფასეულობის მქონე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის N 1–1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გარიგების შედეგად დადებული ხელშეკრულება შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია (მაგალითად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რომელიც <u>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 27², პუნქტი 2.</u>-ის თანახმად არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას), ან აზრს არის მოკლებული (მაგალითად, შემენის პირობები, რომელიც დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" და საჯაროა).

<u>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მე-3 პუნქტის</u> თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). სავარაუდოდ, საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის აღნიშნული წესი არ ყოფილა დაცული. რადგან ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ არ მოგვაწოდა ნორმატიული აქტის ასლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა; ხოლო, ზეპირსიტყვიერად განმარტა (იგივეზე მიანიშნებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი მწვანე ალტერნატივას; 2008 წლის 16 მაისის წერილი №21/875/1-8), რომ გადაწყვეტილება ასახულია თავად ხელშეკრულების ტექსტში „14.1. მუხლის“ სახით. თავად ხელშეკრულების მუხლით დოკუმენტის გასაიდუმლოება ეწინააღმდგება საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ წესს.

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28.**

შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, შესაბამისად, მისი გასაიდუმლოებით ირღვევა ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა უფლება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. კანონით ზემოაღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ხოლო მისი კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სავარაუდოდ, არ მომხდარა დადგენილი წესით (აღნიშნული, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რადგან ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სთხოვა მოეწოდებინა ინფორმაცია ხელშეკრულების საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველისა და ვადის თაობაზე, ასევე, სთხოვა იმ ნორმატიული აქტის ასლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ინფორმაციის გასაიდუმლოება. აღნიშნულ მოთხოვნაზე მწვანე ალტერნატივას წერილობითი პასუხი არ მიუღია; ხოლო ზეპირსიტყვიერად განგვიმარტეს, რომ ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია თავად ხელშეკრულების მუხლით, რაც არ შეესაბამება დადგენილ წესს).

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 33.**

შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოებით ირღვევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლით დადგენილი საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი. ძნელია წარმოიდგინო თუ როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ამ ხელშეკრულების ტექსტში ინვესტორის მიერ მიწოდებული რაიმე კომერციული საიდუმლოება. ხელშეკრულებას რომც ერთვოდეს რაიმე ფასეული კომერციული გეგმები, ასეთ შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამოცალკევება და დანარჩენი ნაწილი გამოქვეყნებულიყო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42. პუნქტი ა) და ნ)**

შპს “რუსთავწყალკანალის”, შპს “მცხეთაწყალკანალის”, შპს “საქწყალკანალისა” და შპს “თბილისის წყალის” 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს “მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს” შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-

ე მუხლის ა) პუნქტის თანახმად, ეს არის ინფორმაციას რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. ასევე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ხელშეკრულება არ ყოფილა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად კანონით დადგენილი წესით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის ნ) პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

- **გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენცია, მუხლი 2., პუნქტი 3.**

ორჰუსის კონვენციის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს "წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

ბ) ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები."

ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის" გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

- **გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენცია, მუხლი 4., პუნქტი 1. და პუნქტი 6.**

<u>ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის პუნქტი1.</u>-ის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით უნდა დააკმაყოფილონ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა და მიაწოდონ ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას; იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც კანონის თანახმად, არ ექვემდებარება გამოქვეყნებას. კონვენციის იმავე <u>მუხლის მე-6 პუნქტის</u> თანახმად, ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტის გასაიდუმლოებული ნაწილი უნდა გამოიყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ხოლო ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის მოწოდება.

შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებული

ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოებით ირღვევა ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

- **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.**

შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედისათვის" გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების 14.1. მუხლი (თუკი ასეთი არსებობს), რომლის შესაბამისად დოკუმენტი წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, უცილოდ ბათილია რადგან არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს.

მოსარჩელის შუამდგომლობები

სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს მოსარჩელის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ:

სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან იწახება და რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს;

სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ, დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ, დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები;

სასამართლომ პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად ჩაბას ესა თუ ის პირი;

სარჩელში შესაძლოა ასევე მიეთითოს სხვა სახის შუამდგომლობები;

შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება;

თუ მოსარჩელეს აქვს *რამდენიმე სახის შუამდგომლობა,* ისინი *უნდა დაინომროს პუნქტების მიხედვით, არაბული ციფრებით.*

სარჩელის ფასი ..... **ლარი**

ციფრებით და სიტყვიერად

სასარჩელო მოთხოვნაზე გადახდილი

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა: 100 ასი **ლარი**

ციფრებით და სიტყვიერად

შენიშვნა: სახელმწიფო ბაჟის ოდენობები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლით და «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონით. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისათვის ***3000 ლარს***, ხოლო იურიდიული პირისათვის ***5000 ლარს.*** აღნიშნული გრაფის შევსებისას ***მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა წარმოადგენს სარჩელის ხარვეზს, რაც შეაფერხებს სარჩელის წარმოებაში მიღებას.*** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ათავისუფლებს მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ან როდესაც მოსარჩელე შუამდგომლობს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების, გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ. თუ სასამართლოს ***მთავარ სხდომაზე*** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ***ბაჟის ოდენობა ნახევრდება***. თუ სასამართლოს ***მთავარ სხდომამდე*** მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, ***მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან***. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

შუამდგომლობები სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით

შენიშვნა: სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების, გადახდის გადავადების ან მათი ოდენობის შემცირების შესახებ ***შუამდგომლობის აღძვრისას მოსარჩელემ სარჩელს უნდა დაურთოს უტყუარი მტკიცებულებები. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.***

სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა

თითოეული საბუთის გასწვრივ მიუთითეთ ფურცლების რაოდენობა, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობა. თანდართული საბუთების ***ნუსხა უნდა დაინომროს არაბული ციფრებით.***

1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წერილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს; 2008 წლის 28 მაისის წერილი №04/03-107 წერილი (1 ფურცელი);
2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას; 2008 წლის 30 მაისის წერილი №24/111 (2 ფურცელი);
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი მწვანე ალტერნატივას; 2008 წლის 16 მაისის წერილი №21/875/1-8 (1 ფურცელი);
4. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს; 2008 წლის 22 ივლისის წერილი №04/03 -116 (1 ფურცელი);
5. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წერილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს; 2008 წლის 25 ნოემბერის წერილი №04/03-121 (1 ფურცელი);
6. საქართველოს კანცელარიის უფროსის პირველი მოადგილის წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას; 2008 წლის 1 დეკემბრის წერილი №24/111 (1 ფურცელი);
7. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილი ადმინისტრაციული საჩივარი; 2009 წლის 16 მარტის წერილი №04/03-127 (6 ფურცელი);
8. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას; 2009 წლის 24 მარტის №24/72 (1 ფურცელი);
9. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წერილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს 2009 წლის 31 მარტის №04/03-128 (2 ფურცელი);
10. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას; 2009 წლის 2 აპრილის წერილი №24/72 (1 ფურცელი);
11. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას წესდება (9 ფურცელი);
12. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (1 ფურცელი);
13. ამონაწერი არასამეწარმეო იურიდიული პირების სახელმწიფო რეესტრიდან (1 ფურცელი);
14. წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულებები (2 ფურცელი).

ფურცლების საერთო რაოდენობა: 30

ხართ თუ არა თანახმა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

ამ გრაფაში მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. *სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად, რაც ხელს შეუწყობს დავის სწრაფად გადაწყვეტას.*

დიახ ☐ არა ☑

ხართ თუ არა თანახმა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:
შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;
მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;
არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;
შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

დიახ ☐ არა ☑

ხართ თუ არა თანახმა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

ამ გრაფაში მოსარჩელეს შეუძლია განაცხადოს თანხმობა, რომ წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოსარჩელეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

დიახ ☐ არა ☑

ყურადღებით გავეცანი სარჩელის შევსების ინსტრუქციას და სარჩელზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ **სარჩელში მითითებული ინფორმაცია მოცემულია სრული სახით და შეესაბამება სინამდვილეს.** ამასთან, ვაცნობიერებ კანონით მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლისათვის დაკისრებულ მოვალეობებს იმის შესახებ, რომ: **საქმის წარმოების განმავლობაში მისამართის შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობო სასამართლოს,** ვინაიდან ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ამ მისამართზე აღარ ვცხოვრობდე; **ვალდებული ვარ ხელი შევუწყო სასამართლოში საქმის დადგენილ ვადაში განხილვას.** ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ **სასამართლო უწყება შეიძლება ჩამბარდეს ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ხოლო სასამართლო უწყების ჩაბარების შემდეგ, სასამართლოს მთავარ სხდომაზე ჩემი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, ჩემ დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება** საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

.....
მოსარჩელის ხელმოწერა

“ 22 “ მაისი “ 2009 წ.

.....
მოსარჩელის წარმომადგენლის ხელმოწერა